ყოველ-კვირეული სამეურნეო საპოლიტიკო-სალიტერატურო გაზეთი

სასოფლო გაზეთი

№ 23 1920 წ. ორშაბათი, გიორგობისთვის 22-ს, წელიწადი პირველი № 23

ფასი 10 მან.

გაზეთს აქვს შემდეგი განყოფილებანი:

საშინაო და საგარეო პოლიტიკა, მებაღეობა და მევენახეობა, მესაქონლობა, ვაჭრობა მრეწველობა, კოოპერაცია, სახალხო განათლება, სახალხო მკურნალობა. სასოფლო ცხოვრება, სიტყვა-კაზმული მწერლობა და სხვა.

,,სასოფლო გაზეთში''

მონაწილეობას იღებენ მცოდნე სპეციალისტები, ცნობილი მწერლები და გამოცდილი მეურნენი. რედაქცია თავის მკითხველებს მიაწვდის რჩევას და დარიგებას იურიდიულ სამკურნალო და სამეურნეო საკითხებში. — გაზეთის ფასი თვიურად 40 მან. თითო № 10 მან — კონტორა ღიაა ყოველ დღე დილის 9—2 საათამდე, მისამართი რუსთაველის პროსპ. № 11, გაზეთ. ,,საქართველო'' ს ბინაზე.

საერთაშორისო მდგომარეობა.

საქართველო ერთი პატარა ნაწილია იმ მთლიანი სხეულისა. რომელსაც მსოფლიო ჰქვიან და რამოდენჯერაც ეს სხეული ერთი გვერდიდან მეორე გვერდზე გადაბრუნდება, იგდენჯერ საქართველოსაც გაიზმორებს.

საერთაშორისო ომისა და რევოლიუციის მიერ გამოწვეული დიდი პოლიტიკური მიწის ძვრა კი, საქართველომ განიცადა მთელი თავისი სიმძიმით, რადგანაც ჩვენმა ქვეყანამ საიმპერიო რუსეთის დროშას ქვეშ პირდაპირი მონაწილეობა მიიღო როგორც ომში, ისე რევოლიუციაში.

და დღესაც, მას შემდეგ რაც ჩვენ სავსებით ბუნებრივი გზით რუსეთის ჩამოვცილდით, გვერდს ვერ აუხვევთ იმ საერთაშორისო პოლიტიკურ მოვლენებს რომელნიც ჩვენს გარშემო ასეთის სისწრაფით ერთი მეორეზე სცვლიან.

სამი გარემოება საზღვრავს თანამედროვე ადამიანის ინტერესს: ეროვნული, სახელმწიფოსს შინაური წესწყობილება და ბოლშევიზმი.

თავი' თავად აშკარაა, რომ იმ ქვეყანას რომელმაც გამოიწვია უკანასკნელი საუკუნოების არაჩვეულებრივი ომი უთუოდ რემონტი სჭიროდა; თანამედროვე სახელმწიფო სხვა და სხვა ერებისაგან ნაძალადევად შეკოწიწებულ ერთეულს წარმოადგენდა და პირველი დაუნდობელი იერიშები სწორედ აქეთკენ იქმნა მიმართული.

და ყველას ახსოვს ალბად თუ როგორის სიჩქარით არიგებდენ მაშინდელი გაბატონებული ერების პრემიერები, პრეზიდენტები თუ იმპერატორები ერთა თავისუფლების სიგელებს. მაგრამ ეს ერთობ დაგვიანებული ხერხი გამოდგა, და ქარის მომტანი სახელმწიფოები ქარიშხალმა წალეკა.

ეროვნული საკითხის სიმწავეს ხელს უწყობდა ზოგიერთ სახელმწიფოების შინაური წესწყობილების უვარგისობაც და ომის წელში აღმოცენებულმა რევოლიუციამ სწორედ ამას ჩასჭიდა ხელი.

აქ ჩაისახა თანამედროვე კულტურის კრიზისი რაზედაც ინგლისის პრემიერმა ლოიდ—ჯორჯმა სთქვა:

,,უკანასკნელი დროის პოლიტიკური ცხოვრების უამინდობამ შევერცხლა ჩემი თმები'' ო.

ზედი-ზედ დაიმსხვრნენ უზარმაზარი სახელმწიფონი, ულვდოთ დაიღუპნენ რეხისფერ კაბინეტებში ნაფიქრი და ნააზრევი გეგმანი, და საჭირო შეიქმნა არსებული მდგომარეობის გადასინჯვა.

მადა ჭამაში მოდისო ნათქვამია და ამ არაჩვეულებრივ პირობებში, ბოლშევიკებიც ცდილობდენ დაზარალებულ ქვეყანას რამეს ჩამორჩნენ.

საბჭოთა რუსეთი დღეს ხორბალისა და ხე ტყის მასალების მაგივრად, პრაკლამაციებსა და აჯანყებების მომწყობ პროპაგანდისტებს აგზავნის ევროპაში.

ევროპაც თავის მხრით ფართლეულობისა და შოკოლადების მაგივრად უდიდესი კოლიბრის ყუმბარებით და ზარბაზნებით ტვირთავს რუსეთისაკენ მიმავალ გემებს.

საერთაშორისო ძალთა ასეთს ურთიერთობაში საქართველო ვერ დარჩება უბრალო მოწმედ. ჩვენ ანგარიში უნდა გაუწიოთ განსაკუთრებით ევროპის მოქნილ პოლიტიკას: თანახმად ამ პოლიტიკისა თავისი მკვდარი ყველამ თითონ უნდა დამარხოს.

და ჩვენ ვხედავთ, თუ როგორ მარხავენ ერთიმეორეს რუსეთში შეურიგებელი ძალები, თუ როგორ იფერფლებიან ერთმეორის ცეცხლში ბოლშევიკები და მონარქისტი გენერლები.

საქართველომ არ უნდა დაწვას ამ ცეცხლში არც ერთი ღერი შეშა, მაგრამ არც ის უნდა იქმნეს დავიწყებული რომ ჩვენი რესპუბლიკა დიდი მსოფლიოსი სისხლი და ხორცია.

ძველი გამოცდილება და ახალი საფრთხე.

დიდი ხანი არ არის მას აქეთ, რაც გამარჯვებული ოსმალეთი შემოიჭრა საქართველოს მიწა-წყალზე და ჩვენს დედა სამშობლოს ძალით ჩამოგლიჯა მისი განუყრელი ნაწილი, აჭარა თავისი უმშვენიერესი და უმნიშვნელოვანი ქალაქი—ბათომი. ეს მოჰხდა სწორედ მაშინ, როცა რუსის ჯარებმა კავკასიის ფრონტი გააშიშვლეს და რუსეთისაკენ გაეშურნენ. მაშინ რუსეთში ახლად დამკვიდრებული ბოლშევიზმი უხვად ურიგებდა ყოფილ რუსეთის მტერ სხვის მიწა წყალს. ასე მოექცა ბოლშევიკური მთავრობა საქართველოსაც და ბრესტ-ლიტოვსკის ხელშეკრულობით ოსმალეთს გადასცა ბათომი და ბათომის ოლქი. ამიერ-კავკასიის ერებმა, ქართველობამ, აზერბეიჯანმა და სომხეთმა შეადგინეს ამიერ კავკასიის მთავრობა და მოიწვიეს სეიმი, რომ საკუთარი ძალღონით გაძღოლოდნენ თავიანთ საქმეებს და შეერთებულის ძალით ეხსნათ ამიერ-კავკასია მტრის შემოსევისაგან. მაგრამ საუბედუროთ ამ სეიმში იჩინა თავი უთანხმოებამ და მაშინ, როდესაც ბათომის ოლქის ბედი სწყდებოდა და საქართველოს ხალხს ოსმალეთის ჭირისაგან დარბევა მოელოდა, სწორედ მაშინ ჩვენი მოკავშირეები [illegible] გაგნენ და დახმარების მაგივრად ზურგს უკან აჯანყებებს აწყობდენ. ჩვენი სამშობლო მაშინ მეტად მძიმე პირობებში იყო ჩაყენებული. შიგნით ზოგიერთ კუთხეებში ანარქია დატრიალდა და გარედან კი ყოველ მხრიდან მტრები მოგვადგენ. საქართველო იძულებული გახდა თავისი არსებობა საკუთარის ძალღონით დაეცვა. იგი ასეც მოიქცა და 1918 წელს მაისის 26-ს დამოუკიდებლად შეუდგა თავის შინაურ და გარეშე საქმეების მოგვარებას: მაშინ ჩვენი ერთად ერთი მოკავშირე და დამხმარე იყო გერმანია. გარდა იმისა, რომ გერმანელები ჩვენ გვაძლევდენ რჩევას და გვიწევდენ ამგვარად ზნეობრივ დახმარებას, მათ ჩვენი გულისთვის სისხლიც კი დაღვარეს ბორჩალოს მაზრაში აჯანყებულ სომხების დასამშვიდებლად. მართალია, მაშინდელი ჩვენი სამხედრო ძალების სისუსტის გამო, ჩვენ ბათომი და ბათომის ოლქი დავკარგეთ, მაგრამ ოსმალეთთან ზავის ჩამოგდებით, გადარჩა ჩვენი ხალხი მოსალოდნელ სისხლის ღვრას. ეს მოხდა არა მარტო ჩვენი მეთაურების, სოციალ დემოკრატების ბრძნული პოლიტიკის წყალობით, არამედ თვით ჩვენი ხალხის სათანადო შეგნებით ჩვენმა ხალხმა დროზე აუღო ალღო ბოლშევიზმის უკუღმართობას და ზურგი შეაქცია მას. მან დაინახა, რომ ბოლშევიზმი ქადაგებდა ყალბ იდეებს და მან უკუ აგდო ეს იდეები. თუ რა დიდ სიმაღლეზე იდგა ჩვენი ხალხი თავის შეგნებით, ეს ნათლად დავინახეთ ჩვენ სომხეთთან ომის დროს. მაშინ მთელი ხალხი ფეხზე დადგა და სრულის შეგნებით გაემართა მტრის შესამუსრავად და თავის საზღვრების დასაცავად მართალია ჩვენმა მეთაურებმა ჯერ დააგვიანეს საომარი მომზადება და შემდეგ კი როდესაც გამარჯვება ჩვენ მხარეზე იყო, მაშინ უეცრად შეაჩერეს ჩვენი ჯარების ძლევა მოსილი წინსვლა, და ომი, სამწუხაროდ, ჩვენი ტერიტორიის ერთი ნაწილი სადავოდ გამოცხადებით გაათავეს, მაგრამ ჩვენმა ხალხმა მაინც არ გაიტეხა გული და როდესაც ხელმეორედ დაუდგა მას საფრთხე წითელ აზერბაიჯანის მხრიდან ისევე გაბედულად და თავდადებით შეებრძოლა ამ ახალ მტერს და ჩვენ ვიცით თუ რა დიდი დამარცხება იგემა მტერმა წითელ ხიდთან.

დღეს ჩვენს სამშობლოს ახალი საფრთხე მოადგა კარს. ეს არის ქემალ ფაშა. ქემალ ფაშა ჩვენ მეზობელ სომხის ერს შეებრძოლა და სამწუხაროდ მძიმედაც დაჭრა იგი. ჩვენ არ ვართ დარწმუნებული იმაში, რომ ქემალ ფაშა ჩვენ საზღვრებთან გაჩერდება და არ შეეცდება მათ გადმოლახვას. ცხადია ბათომის და ბათომის ოლქის საქართველოზე გადმოცემას, ოსმალეთი ასე ადვილად ვერ შეურიგდება და ის თუნდაც ქემალ ფაშას ლაშქრობის სახით მოინდომებს ძველ ვექსილების განაღდებას. ყოველ შემთხვევაში, ჩვენ გულხელ დაკრეფილი ვერ გავჩერდებით. ჩვენ გვმართებს სიფხიზლე და სამზადისი. საჭიროა მთელმა ხალხმა გაიგოს თუ რა საშინელება არის ოსმალეთის ხელმეორეთ ჩვენ საზღვრებში შემოჭრა. დარწმუნებული ვართ, რომ ჩვენი ხალხი როგორც წარსულში ამ მოსალოდნელ, ახალ საფრთხესაც ადვილად მოიშორებს და დაანახვებს მთელ ქვეყანას, რომ საქართველოს, ამ პატარა კუთხეს შეუძლია უპეკუნო ცხოვრება და თავისი თავის დაცვა.

ლ. ვ—ძე.

ჩიჩერინის ნოტა

გაზეთი საქართველო ჩიჩერინის ნოტის შესახებ რომელიც ჩვენ გაზეთის დღევანდელ ნომერში იბეჭდება სწერს შემდეგს:

„ჰდგება მომენტი გამორკვეული ეროვნული პოლიტიკისა. მერყეობას უნდა მოეღოს ბოლო.

ბოლშევიკური რუსეთი ემუქრებოდა მთელს ევროპას: უნდა გავანადგუროთ ბურჟუაზია და მოვახდინოთ მსოფლიო რევოლიუციაო. დასძრა საშინელი ლაშქარი, გასწია დასავლეთისაკენ, მაგრამ პოლონეთის ეროვნულს სიმაგრეზე დაიმტვრია შუბლი. პოლონეთმა გაანადგურა ეს ლაშქარი, გამოჰრეკა თავის საზღვრებიდან და დაადებინა რუსეთს ხელსაყრელი ხელშეკრულება. გადარჩა ევროპის კულტურა და ცივილიზაცია, მაგრამ პოლონეთით უკუქცეული ტალღა ბოლშევიკური ურდოებისა წამოვიდა აღმოსავლეთისაკენ. მისი ძალა იკრიბება კავკასიაში.

არის მეორე ტალღაც—თურქული ნაციონალისტური. დამარცხებული დასავლეთში იგი მოდის აღმოსავლეთისკენ მისი მიზანია—გაამრთელოს თავისი დაფლეთილი ეროვნული სხეული, იხსნას მონობისა თუ განადგურებისაგან სხვა და სხვა ნაწილი ამ სხეულისა. ეს ორი ტალღა უსათუოდ შეხვდება ერთმანეთს. ამ ორი ტალღის შუა მოქცეულია საქართველო. სტრატეგიული მდებარეობა მისი და განსაკუთრებით ბათუმისა—გარდამწყვეტი მომენტია ამ შეხვედრისა.

აქ არის გასაღები ჩიჩერინის ნოტისა.

თუმცა ბევრ კომპლიმენტებს ეუბნებიან ერთმანეთს რუსეთი და ანატოლია, მაგრამ ეჭვი არ არის, მათ არა აქვთ და არც უნდა ჰქონდეთ ერთმანეთის ნდობა. განადგურებული აზერბაიჯანი, დარბეული ჩრდილო კავკასია, ეს მუსლიმანური ქვეყნები, იმედით შესჭყურებენ ქიამალ-ფაშის ჯარს და მოელიან მისგან ხსნას. ამ ჯარის მოახლოება გამოიწვევს მთელი მუსლიმანური კავკასიის აჯანყებას ბოლშევიკების წინააღმდეგ. ასეთი საფრთხის წინ რუსეთის გარეშე საქმეთა მინისტრი ჩიჩერინი უგზავნის ინგლისს და საქართველოს შემდეგ ნოტას:

,,ინგლისს განძრახვა აქვს საქართველოს საშუალებით ბათომი ჩაიგდოს თავის ხელში... ამის გამო ინგლისის გარეშე საქმეთა მინისტრს ჩიჩერინმა გაუგზავნა განცხადება, რომელშიაც იგი პროტესტს აცხადებს რუსეთის ქალაქის დაჭერის განძრახვის გამო და ამბობს, რომ ბათომის დაკავება იქნება პირდაპირ მუქარა საბჭოთა რუსეთის და მისი მოკავშირის აზერბაიჯანის წინააღმდეგ... საბჭოთა რუსეთი ყოველ ზომებს მიიღებს ასეთი ცდის განხორციელების განძრახვის წინააღმდეგ...''

ამ ნოტაში შესანიშნავია ქალაქ ბათომის რუსეთის ქალაქად გამოცხადება. ჯერ ერთი, 1783 წლის ხელშეკრულების ძალით (დამატებითი მუხლი 4) რუსეთი ვალდებული იყო ის ახლად დაპყრობილი ადგილები, რომლებიც წინედ შეადგენდნენ საქართველოს ნაწილს, შემოერთებინა საქართველოსთვის და არა რუსეთისათვის. ამიტომ ბათომი და მისი მხარე, დღიდან მათი დაპყრობისა, უნდა გამხდარიყვნენ საქართველოსი, და არა რუსეთის ნაწილი. ძველმა რუსეთმა ეს ხელშეკრულება დაარღვია, მაგრამ ხელშეკრულების დარღვევა ვერ შეიქმს უფლებას. ბოლშევიკურმა რუსეთმა დაარღვია იგივე ხელშეკრულება ბრესტ ლიტოვსკში, როცა ბათომის და არტაანის მხარე დაუთმო ოსმალეთს. მან დაუთმო ის, რაც მას არ ეკუთვნოდა

კვირიდან-კვირამდე

რუსეთიდან მოსულ ცნობების თანახმად ბოლშევიკების ჯარმა სრულიად დაამარცხა ვრანგელის ჯარი, რომელმაც თავისი თავი გადაყენებულად გამოაცხადა.

— უკრაინაში და მის ახლო მახლო მდებარე ადგილებში ბოლშევიკების საწინააღმდეგო მოძრაობა დაიწყო, სდგება მებრძოლი რაზმები.

— გაზეთ ,,ტანის'' ცნობით რუსეთში მონარქისტებს განზრახული ჰყავთ მეფის მოწვევა.

— ჩიჩერინმა საქართველოს მთავრობას ნოტით მიჰმართა.

წერილები.

საერთაშორისო მდგომარეობა.
ძველი გამოცდილება და ახალი საფრთხე
პრესა.
მთავრობის ეკონომიური საქმიანობა და სიძვირის მიზეზები. ელისე პატარიძე.
მუცლის სახადი ანუ ტიფი ექ. ნ. ია—შვილი,
ქვევრებში ღვინის დაყენება. გ. მ—შვილი-
სამხედრო ცხენები საქართველოს რესპუბლიკაში. ექ. ბერთალ ქუთათელაძე.

და რომლის დათმობა იურიდიულად მას არ შეეძლო. შემდეგ, საქართველოსთან დადებულ ხელშეკრულებაში მან გამოასწორა ეს შეცდომა და ბათომის ოლქი აღიარა საქართველოს უდავო ნაწილად. მგონი, საკითხი გათავებულად და გადაწყვეტილად უნდა ჩათვლილიყო. მაგრამ არა, ეხლა ბ-ნი ჩიჩერინი კვალად გაიძახის, რომ ბათომი რუსეთის ქალაქიაო!

მოდი და ენდე ამისთანა ხალხს, მათ პირობას და ხელშეკრულებას!

ჩიჩერინი იმასაც კი უმატებს, რომ ყოველ ,,განზრახვას'' შევებრძოლებით. განზრახვის ძებნა და გამიზეზება პირდაპირი საბაბია ყოველი მოულოდნელი აგრესსიული მოქმედებისათვის. ეს პირდაპირ—წინასწარი გაფრთხილებაა. ინგლისურ გაზეთებში ცნობა იყო, რომ ბოლშევიკებმა ულტიმატუმი გაუგზავნეს საქართველოსო. ულტიმატუმი ჩვენ არ მოგვსვლია, მაგრამ შესაძლებელია ეს ულტიმატუმიც მზად იყოს.

რა უნდა ვქნათ ამისთანა პირობებში?

სამხედრო ძალების მოწყობის აუცილებლობა თავისთავად ცხადია. ამას არ შევეხები. აუცილებელია, გარდა მილიტარული და ფინანსიური ძალების დაგროვების და მოწყობისა სახელმწიფოს შიგან, ძებნა და გამონახვა დასაყრდენობი ძალებისა სახელმწიფოს გარედ. უნდა დროზე ვიზრუნოთ.

საჭიროა გარკვეული ეროვნული პოლიტიკა და ენერგიული მოქმედება.

ჩიჩერინის ნოტა საქართველოს მთავრობას.

თბილისიდან. რუსეთის მისია ამხ შეიმანს: საქართველოს მთავრობას განუცხადეთ შემდეგი: მოკავშირეთა რადიო ტელეგრამების ცნობებს ჩვენ იმ დასკვნამდი მივყევართ, რომ უკვე ოფიციალურად იმუშავებენ ბათომის ინგლისის ან სხვა რომელიმე სახელმწიფოს ჯარებით დაკავების გეგმას. რუსეთის საბჭოთა მთავრობა მიაქცევს საქართველოს მთავრობის ყურადღებას ამ მეტად მნიშვნელოვან საკითხზე და სერიოზულ შედეგებზე, რომელიც მოყვება ბათომის მოკავშირეთა რომელიმე სახელმწიფოს შეიარაღებულ ძალებით დაკავებას. ბათომის გაწმენდა ინგლისელთა ჯარებიდან, რომელიც საფრთხეს წარმოადგენდენ ჩვენი მოკავშირე აზერბაიჯანის და თვით საბჭოთა რესპუბლიკისათვის, წარმოადგენდა ძირითად მხარეს რუსეთისა და საქართველოს შორის საზავო ურთიერთობის ჩამოგდების დროს. ამ პირობის დარღვევა და ამით რ. ს. ს. ფ. რ. და აზ. ს. ს. რ. არსებობისათვის საფრთხის შექმნა დააყენებს რუსეთის მთავრობას აუცილებლობის წინაშე მიიღოს სერიოზული ზომები ორივე რესპუბლიკებისათვის საფრთხის ასაცილებლათ.

ბათომის დაკავება მოკავშირეთა შეიარაღებულ ძალების მიერ არ შეიძლება დავაფასოთ ჩვენ სხვანაირად, ვიდრე ჩვენთვის სამხრეთით ახალი ფრონტის შექმნის ცდა. გამოვთქვამთ მტკიცე რწმენას, რომ საქართველოს მთავრობა ასეთ გზას არ დაადგება და არ აიღებს თავის თავზე, მოსალოდნელი შედეგების პასუხისმგებლობას. № 8868,16 ნოემბერი 1920 წ.

ჩიჩერინი.

ბოლშევიზმი და გლეხობა.

დანიელი მწერალი ქალი ნინო ბანგი შეეკითხა კრასინს: როგორი დამოკიდებულებაა გლეხობასა და საბჭოთა მთავრობას შორის?

კრასინმა უპასუხა: ,,გლეხობა მხარს უჭერს საბჭოთა მთავრობას, რადგანაც მან ამ მთავრობიდან მიიღო მიწა, მაგრამ თავისთავად აშკარაა, რომ ჩვენი გლეხობა კომუნიზმიდან ძლიერ შორსაა. ჩვენ ძალით ვაიძულებთ მათ ზედმეტი მოსავალი მთავრობას მისცენ და სამაგიეროდ ინდუსტრიალური ნაწარმოები მიიღონ. კერძო საკუთრების შეძენა ჩვენში აკრძალულია.'' (ობშ. დელო)

უცხოეთში

ყირიმში

ამ დღეებში სევასტოპოლიდან გამოსულმა მოწმემ ყირიმის ამბები ამ, შემდეგი უამბო ჩვენს კორესპონდენტს.

— უკანასკნელ დრომდე დიდი შიში არავის გამოუცდია. ყველა შეჩვეული იყო იმ აზრს, რომ ჯარი დაიხევდა, ამოეფარებოდა ბეტონის სიმაგრეებს, რათა ნაკლები მსხვერპლი შეეწირა რამდენჯერმე ძლიერს მტრისათვის და ისე დაიფარავდა თავს. ამ სიმაგრეების ყველას ისეთი დიდი იმედი ჰქონდა, რომ ჯარის მართლა და უკან დახევას არავინ გაუკვირვებია. ეს სიმაგრეები ააგეს ფრანგებმა,—ვერდენის ინჟინერებმა, შემოლობეს ეკლიანი მავთულით და ყველას მიუდგომელ ციხე სიმაგრედ ეჩვენებოდა.

მაგრამ სრულიად მოულოდნელმა გარემოებამ დააუძლურეს და დაამხეს ეს მიუდგომელი და მაგარი ციხე-ბურჯები.

აუტანელმა ყინვამ, ისეთმა ყინვამ, რომლის მსგავსსაც შავი ზღვის ნაპირები არ მოსწრებიან, დალუპა მთელი ჯარი.

სივაშისა და გნილიეს სრუტეები გაიყინენ—ბოლშევიკებს გზა გაეხსნათ და მთელის თავისის ძლიერებით შეესივნენ ყირიმს. ამბობენ მათი ჯარის რიცხვი ოცდაათ დივიზიას აღემატებოდაო. ყოველ შემთხვევაში ისეთი ჯოჯოხეთი დატრიალდა თოფ-ზარბაზნების სროლით, რის მომსწრე არავინ არის.

ჯანკოი უკვე დაეცა და ახლა კი შიშის ზარმა აიტანა ყველანი.

დაიწყო ევაკუაცია.

ვრანგელმა გამოსცა მოწოდება ჯარის დათხოვნის შესახებ და დეზერტირებმა რომელთა რიცხვი ათასობით იყო, გახსნეს ახალი ფრონტები, რაც ხელს უშლიდა სევასტოპოლის დამცველ რაზმებს.

ის ასი და ათასი ბოლშევიკი, რომელნიც ტყვეთა ჰყავს ვრანგელს და ვითომც მას ემსახურებოდნენ, კვლავ ბოლშევიკებისაკენ გადავიდნენ და ამით სამუდამოდ გამოაცალეს ძალა ვრანგელის ერთგულებს.

სევასტოპოლში გამეფდა აუწერელი შიში და ბრძოლა.

ყველა ნავებს ეცა და ბრძოლით იღებდა ალაგს.

ინგლისის გემები, რომლებიც რეიდზე იდგა, არავის შეელოდა, რამდენიმე კაცმა ძალით თუ შეაფარა თავი ამ გემებს.

რუსისა და საფრანგეთის ტრანსპორტები, გემები, ნავები და ერთი სიტყვით, რაზედაც კი ჩაჯდომა შეიძლებოდა ხალხით გაიჭედა—არავის არ უნდოდა ყირიმში დარჩენა ბოლშევიკების სათრევად.

უკანასკნელი რაზმი მოვიდა სევასტოპოლში 16 ნოემბერს, დილით და „კორნილოვი", რომელზედაც იყო ვრანგელი გავიდა შუაზღვაში და სტამბოლისაკენ გასწია.

რა ხდებოდა ყირიმის სხვა ადგილებში ძნელი სათქმელია.

კერჩის ფრონტიდან მოისმოდა თოფზარბაზნების ხმა—უკანასკნელი ნაშთი ვრანგელის ჯარისა თავს იცავდა.

სევასტოპოლიდან გაიქცა 60 ათასკაცამდე. ძვირფასი ნივთები და ღირებულებანი წინდაწინვე იყო გაზიდული.

ვრანგელის გემის წასვლის შემდეგ სევასტოპოლზე აფრიალდა წითელი დროშა და თოფის უსწორმასწორო სროლა უფრო გაცხარდა.

გერმანია და ჩეხეთი.

გერმანელთა წარმომადგენლების ყოფაქცევით აღელვებულმა ჩეხის მცხოვრებლებმა ნოემბრის 17, მანიფესტაციები გამართეს. მანიფესტანტთა რიცხვი 2,000-მდე იყო. მათ დაიკავეს გერმანული ძველი თეატრი, ზედ ააფრიალეს ჩეხის დროშა და მოითხოვეს, რომ წარმოდგენა ჩეხურ ენაზე გაგრძელებულიყო. შემდეგ გერმანულ კაზინოს კარები ჩაამტვრიეს და ვილჰელმ 2 ქანდაკი ფანჯარიდან გადმოაგდეს და აქაც ჩეხის დროშა ააფრიალეს. სხვები გაემგზავრენ გერმანულ გაზეთ ,,ბოჰემია'' სკენ და დახურეს იგი. პრაგის ტაგებლატი''-ს დირექტორმა დააჩქარა ჩეხის დროშის აფრიალება, რათა მანიფესტანტები დაეწყნარებია.

ბურჟუაზიული პარტიების გამარჯვება.

საქსონიის სეიმის არჩევნებმა, სადაც აქამდის უმეტესობას წარმოადგენდა სოციალ-დემოკრატები, დაამტკიცა რომ გაძლიერებულა საშუალო კლასების პარტიები, რომელთაც 96 წევრიდან მიიღეს 47 ადგილი. კომუნისტური გაზეთი „როტე ფანე" არჩევნების ამგვარ შედეგს სოციალ-დემოკრატიულ პარტიისათვის დამღუპველათ სთვლის.

მილისტების ტერორისტული გეგმა.

გაზ. „ტაიმსი" სწერს შემდეგს: „თუ დავუჯერებთ უკანასკნელ ხანებში გავრცელებულ ხმებს, ქიამალ ფაშა მხოლოდ იმ მოსაზრებით უტევს სომხეთს, რომ ანტანტაზე და ამერიკაზე გავლენა მოახდინოს. ქიამალისტები განაგრძობენ ბრძოლას სმირნაში ბერძნების წინაამდეგ და კილიკაში საფრანგეთის წინაამდეგ. ზოგიერთი მილისტს ეშინია ამ ვრცელი ტერიტორიალური გეგმის განხორციელების პროცესში სტამბოლიც არ დაჰკარგონ, მაგრამ მათში უმრავლესობა იმ აზრისაა, რომ ოსმალეთისათვის სტამბოლს არავითარი მნიშვნელობა არ აქვს მანამ, სანამ ჩატალჯა ბერძნების ხელთაა. ოსმალეთის გულწრფელი სურვილია ანატოლიაში გამაგრება და ეს ყოველგვარი ზომის მიღებით სომხების, ბერძნების, რუსების და ქურთების სეპარატიული მიდრეკილების ძირიან-ფესვიანად აღმოფხვრა, ამ საქმეში მილისტების აზრით ოსმალეთს დაეხმარება „აზიური" მოსკოვის მთავრობა".

ანგორისა და სტამბოლის შეთანხმება.

სტამბოლის გაზ. ,,დჟოგ. ძაინი'' იუწყება შემდეგს: ,,იზეთ ფაშა მოლაპარაკებას აწარმოებს ანგორის მთავრობის წარმომადგენლებთან—ბეფიატი და ჯემალ ბეისთან. ანგორისა და სტამბოლის შეთანხმების საკითხი დაისვა ანატოლიის ეროვნულ კრებაზე. გამოირკვა ორი მიმართულება: ზოგს ყოველგვარი წინასწარი პირობების შეუმუშავებლად ჰსურდა სტამბოლთან შეთანხმება, ზოგმა კი წამოაყენა შემდეგი პირობები: 1) სტამბოლმა უნდა გამოაცხადოს საერთო მობილიზაცია, 2) ანატოლიის საპასუხისმგებლო ადგილებზე დანიშნონ ის პირები, რომელთაც ანგორის მთავრობა წამოაყენებს, 3) მილისტები თანახმანი არიან ადრიანოპოლი ბერძნებს გადაეცეს. რაც შეეხება სმირნას, ქიამალისტები მოითხოვენ სმირნაც ბერძნებს გადაეცეს და ამავე დროს მაზე გავრცელდეს ოსმალეთის ნომინალური უფლება და აგრეთვე ამოიშალოს სევრის ხელშეკრულებიდან ის პუნქტი, რომელიც 5 წლის შემდეგ სმირნაში პლებისციტს მოითხოვს''.

დეპეშები.

პარიზი. ფრანგული გაზეთების ცნობით ერთა ლიგის 1921 წლის ბიუჯეტი უდრის 20 მილიარდსა და 660,000 ფრანკს, რომელიც განაწილებული იქნება ერთა ლიგის წევრთა შორის. თანხის შეტანის დროს გათვალისწინებული ის პროპორცია, რომელსაც ერთა ლიგის წევრები იხდიან საერთაშორისო საფოსტო კავშირში და ამის მიხედვით მოხდა გადაჯგუფება შვიდი კატეგორიისა:

პირველ კატეგორიაში შედის ინგლისი, საფრანგეთი, იაპონია, იტალია, კანადა, ავსტრალია, პოლონეთი, ჩინეთი და სამხრეთ აფრიკა; მეორე კატეგორიაში—ესპანია. მესამეში—ბელგია, ბრაზილია, ჩეხოსლავია, ჰოლანდია, რუმინია, შვეცია და შვეიცარია. მეოთხეში—დანია, ნორვეგია, პორტუგალია და სერბეთი. მეხუთეში—არგენტინა, ჩილი, კოლუმბია, საბერძნეთი და პერუ; მეექვსეში—ვოლინია, კუბა, ჰაიტი, ახალი ზელანდია, პანამა, პარაგვაი, სპარსეთი, სალევადორი და სიამა; მეშვიდეში—ლიბერია და გეჯასი.

ჩერჩილი ბოლშევიზმის შესახებ.

ლონდონი. ჩერჩილმა დენდში წარმოსთქვა ვრცელი სიტყვა ბოლშევიკების შესახებ: „რუსეთი სიმშილით კვდება და ამ უბედურებაში ბოლშევიკები არიან დამნაშავენი. თუ რუსეთი აღსდგება,—რაც მე მრწამს,—ეს აიხსნება იმ გარემოებით, რომ ლენინის დამღუპველ პოლიტიკას ყველა არ მოუხიბლავს".

კამენევი და ლოიდ-ჯორჯი.

ოქტომბრის 12-ს მოსკოვის კომუნისტური პარტიის და ფაბრიკა-ქარხნების კომიტეტის შეერთებულ სხდომაზე კამენევმა გააკეთა მოხსენება ლოიდ ჯორჯთან მოლაპარაკების შესახებ.

იარაღის ჟღარუნი

კამენევმა სთქვა, რომ ლოიდ ჯორჯმა გაუცხადა მას წერილით შეხვედრისთანავე, რომ წითელი არმიის გადასვლა პოლონეთის ეთნოგრაფიულ საზღვრებზე ხელს შეუშლის კეთილ აწყობილების დამყარებას საბჭოთა რუსეთსა და ინგლისს შორის, და რომ მან უკვე ბრძანება მისცა ფლოტს თვალყური ადევნოს საბჭოთა რუსეთის ნაპირებს. ყველა ამან ისეთი შთაბეჭდილება დასტოვა, რომ კამენევმა თათბირიდან წასვლისას უთხრა კრასინს:

—ეს—ომის გამოცხადებაა!

მეორე დღემ დაამტკიცა თუ რამდენათ ცუდათ იცნობდა კამენევი ლოიდ ჯორჯს.

ლოიდ ჯორჯი და პოლონეთი.

მეორე დღეს ლოიდ ჯორჯმა, კამენევის თქმით, „დიდი გულგრილობა გამოიჩინა". მან განუცხადა კამენევს:

— თქვენ მოითხოვთ პოლონეთის ჯარის დემობილიზაციას? რათ გჭირიათ ეგ? პოლონელებს ხომ არც იარაღი, არც ფეხსაცმელები, არც ჯარებისთვის მაზარები არა აქვთ. ფაქტიურად მხოლოდ ჩვენ—ინგლისს და საფრანგეთს შეგვიძლია დემობილიზაცია მოვახდინოთ თუ პოლონეთს უარს ვეტყვით სამხედრო მასალის მიცემაზე.

ლოიდ ჯორჯი და საფრანგეთი.

კამენევმა ჰკითხა ლოიდ-ჯორჯს: შეუძლია თუ არა მას ილაპარაკოს საფრანგეთის სახელითაც. პრემიერმა უპასუხა:

— მე დარწმუნებული ვარ, რომ მილიერანი იზიარებს ჩემს აზრს, მაგრამ ამ ხანად ის ისეთ მდგომარეობაშია, რომ მიუხედავად იმისა, რომ ჩემს აზრს იზიარებს, შეთანხმებას ხელს ვერ მოაწერს.

მარშალი ვილსონი.

კამენევის და ლოიდ ჯორჯის მოლაპარაკების დროს იქ იყო მარშალი ვილსონიც. ლოიდ ჯორჯი შეეკითხა მას, თუ რამდენი დრო იქნება საჭირო, რომ ბრძანებამ სამხედრო მოქმედების შეწყვეტის შესახებ წითელ ჯარამდის მიაღწიოსო. ვილსონმა უპასუხა—არა ნაკლებ ოთხი დღისა, ლოიდ ჯორჯი მოიღუშა და შენიშნა:

— მაგრამ ოთხ დღეში ხომ ვარშავას წითელი ჯარები აიღებენო.

კამენევის გაძევება.

კამენევმა თავის მოხსენება შემდეგი ტრაბახით დაათავა:

— ჩვენ დიდი უთანხმოება გამოვიწვიეთ ინგლისსა და საფრანგეთს შორის. მაგრამ როცა ჩვენმა ჯარებმა ვარშავიდან დაიხია, მოკავშირეთა შორის კვლავ ჩამოვარდა ერთსულოვნება და ამის გამო ინგლისის მთავრობამ დაადგინა ჩვენი ინგლისის საზღვრებიდან გაძევება.

ბოლშევიკური პრესა ქემალისტების შესახებ.

უცხოეთის პრესა ბოლშევიკების საგარეო პოლიტიკის შესახებ სწერს: „ოსმალეთის ნაციონალისტების გამარჯვება, ყარსის და გუმბრის ხელში ჩაგდება და ბათომზე დამუქრება კავკასიას სრულიად ჩამოცილებს ევროპას. აუცილებელია ჩქარა ანგორისა და მოსკოვის კავშირისა, რისთვისაც საჭიროა ოსმალეთის საზავო ხელშეკრულების გადახედვა". (გაზ. ,,პრავდა''.)

გერმანია და ანტანტი.

ბერლინი. მოკავშირეებმა მიმართეს გერმანიის საგარეო საქმეთა მინისტრს განცხადებით, სადაც აღნიშნულია, რომ ანტანტა უკრძალავს გერმანიას ყოველგვარ ფრენას ჰაერში. აკრძალვის მიზეზი არის გერმანულ საფრენოსნო ორგანიზაციათა მიერ დადგენილ წესების დარღვევა. გერმანიის პრესა იუწყება, რომ საგარეო საქმეთა მინისტრმა უარი განაცხადა საფრენოსნო საზოგადოებათა გაშვებაზე და საზღვარ გარედ ფრენის აკრძალვაზე.

ბოლშევიკური სასამართლო.

პარიზი. „ტანს" მოსკოვის „იზვესტიებიდან" მოყავს სიკვდილით დასჯის სტატისტიკა ივლისის 23-დან აგვისტოს 21 მდე. ეს ცნობები შედგენილია ოფიციალურ განაჩენთა მიხედვით. ერთთვის განმავლობაში დაუხვრეტიათ 1182 კაცი, ამათში ზოგი ღალატობისათვის, ზოგი იარაღის შენახვისათვის, საბჭოთა მოსამსახურეთა მოსყიდვისათვის, მთავრობის წარმომადგენლებისადმი დაუმორჩილებლობისათვის და სხ.

აჯანყება უკრაინაში.

— ჰელსინგფორსის გაზეთები იუწყებიან, რომ უკრაინაში განუწყვეტლივ გლეხთა აჯანყებანი ხდება. შეიარაღებულ გლეხთა ბრბოები აჩერებენ მატარებლებს და სიცოცხლეს ასალმებენ მგზავრებს, განსაკუთრებით კომუნისტებს. მგზავრობას ადვილად ვეღარავინ ბედავს.

საალყო წესები მოსკოვში.

— „ტანი" იუწყება: რიგიდან მოსული ცნობებით მოსკოვში საალყო წესები გამოუცხადებიათ. დაპატიმრებულია რამდენიმე ასეული ოფიცერი—სამხედრო და საზღვაო მთავარ შტაბების მოსამსახურენი.

მეცნიერის დაჯილდოება.

სტოკჰოლმი. 1919 წლის ნობელის ჯილდო საექიმო დარგში მიენიჭა ბრიუსელის ექიმს ჟიულ ბორდეს. 1920 წლის ნობელის ჯილდო მისცეს პროფესორ კოხს.

მონარქიული მოძრაობა რუსეთში.

პარიზი. „ტანი" იუწყება: სარწმუნო წყაროებიდან მიღებულ ცნობებით მოსკოვში გაძლიერდა ფარული მონარქიული პროპაგანდა. მიზნათ აქვთ მეფეთ გამოაცხადონ მიხეილ ალექსანდრეს ძე.

მემარჯვენე ესერები ბოლშევიკების წინააღმდეგ.

— „უნიონის" სააგენტო იუწყება: გაზ. „პრავდის" სიტყვით მემარჯვენე ესერებს გამოუშვიათ მოწოდება საბჭოთა მთავრობის წინააღმდეგ ასაჯანყებლად. ესერები ბრალს სდებენ საბჭოთა მთავრობას იმაში, რომ მან სამარცხვინო ზავი დასდო პოლონეთთან. ამ მოწოდებაში ესერები საბჭოთა რეჟიმს უწოდებენ „რუსეთის კატორღის და კომუნისტურ საპატიმროს".

ესერები და ბოლშევიკები.

„პრავდა" მემარჯვენე და მემარცხენე ესერებს რეპრესიების გაძლიერებით ემუქრება.

საბჭოთა რუსეთის ბიუჯეტი.

საბჭოთა რუსეთის ხარჯთ-აღრიცხვა 1920 წელს შემდეგ თანხას უდრის: შემოსავალი ნავარაუდევია 150 მილიარდი მანეთი, სახელმწიფო გასავალი კი 1160 მილიარდი მან. დეფიციტი ახალი ქაღალდის ფულების გამოშვებით უნდა დაიფაროს.

მილისტები და ბერძნები.

სტამბოლი. უკანასკნელი ცნობებით ტრაპიზონის რაიონში არსებული ბერძენთა სოფლების მთელი რიგი ქემალისტებს გაუნადგურებიათ.

— „ბოსფორი" სწერს: ქემალისტთა და მის მიმდევრებზეა დამოკიდებული ოსმალეთის ბედ-იღბალი. თუ მას მართლაც გულწრფელად უყვარს ოსმალეთი, ეს მან უნდა დაამტკიცოს თავისი პატრიოტული გრძნობის გამოჩენით და უნდა უზრუნველყოს თავის ქვეყნის პატრონობა აღმოსავლეთში. ამ ბატონობას ის უზრუნველყოფს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ დაუყონებლივ შესწყვეტს სამოქალაქო ომს და შეაჩერებს თავის შეტევას ამიერ კავკასიის საზღვრებზე.

ელჩთა კონფერენცია

ელჩთა კონფერენციამ კმაყოფილებით შეიტყო, რომ პადერევსკი თავის მთავრობის სახელით ხუთშაბათს მოაწერს ხელს კონვენციას პოლონეთსა და დანციგის შორის.

ერთა ლიგაში

ერთა ლიგის კრებაზე ჟენევაში ექვსი ვიცე-თავმჯდომარე აირჩიეს.

გერმანია და ჩეხოსლოვაკია.

ჩეხო-სლოვაკების დემონსტრაციები გრძელდება. დემონსტრანტები ხელს უშლიან გერმანულ გაზეთების გამოსვლას და თეატრებში წარმოდგენების გერმანულ ენაზე გამართვას. ბრბომ გაანადგურა 21.000 გერმანული წიგნი და დახურა გერმანული სტუდენტების სამკითხველო. ექსცესები ებრაელების წინააღმდეგაც არის მიმართული. ჩეხო სლოვაკიელ ოფიცრებსა და მცხოვრებთა შორის შეტაკება ხდება.

ეროვნულ ყრილობის გერმანელ წევრებს განზრახვა აქვთ წარუდგინონ მთავრობას ულტიმატური ხასიათის მოთხოვნილება, დაუბრუნონ გერმანელებს მათი საკუთრება. წინააღმდეგ შემთხვევაში გერმანელები ჩეხო-სლოვაკიას მძარცველთა ქვეყანათ ჩასთვლიან.

ვენის გაზეთები აღნიშნავენ ჩეხოსლოვაკიაში არსებულ უკანონობას და მოუწოდებენ ერთა ლიგას მიაქციონ ამას ყურადღება გერმანული პრესა უარყოფს ხმებს, თითქოს გერმანია საბერძნეთზე გავლენას ახდენს. ამასთანავე გერმანული პრესა აღნიშნავს, რომ გერმანია საბერძნეთის საქმეებში სრულიად არ ერევა.

დანციგის საკითხი.

ხმები იმის შესახებ, რომ დანციგის დაცვის სამხედრო მანდატი პოლონეთს ეძლევაო, დანციგში დიდ საშიშროებას იწვევს „ფოსიშე ცაიტუნგის" კორესპონდენტი აცხადებს, რომ ხალხთა ლიგის კომისარის ძალაუფლებას არავითარი გავლენა არა აქვს და დანციგის მცხოვრებლებს სამოქალაქო ომის დაწყებისაც კი ეშინიათ. „ბერლინერ ტაგებლატს" ეჭვი შეაქვს ამ ცნობის სიმართლეში, რომელიც თუ მართლაც გამართლდა, იმ იდეას, რომელსაც საერთაშორისო კანონი ეყრდნობა, ფარსათ გადააქცევსო. გაზეთი აღნიშნავს, რომ ერების შევიწროება არ უკადრება ანტანტას და მის ინტერესებს დიდ ზიანს აყენებსო.

უცხოელები გერმანიაში.

გერმანის მთავრობას განზრახვა აქვს მიიღოს ენერგიული ზომები უცხოელ სამხედრო—სპეკულიანტების წინააღმდეგ. შინაგან საქმეთა მინისტრს მათი თავიანთ სამშობლოში გაძევება სურს.

პოლონეთი და დანციგი.

პადერევსკიმ ხუთშაბათს პოლონეთს და თავისუფალ ქალაქ დანციგის შორის დადებულ ხელშეკრულებას ხელი მოაწერა.

ინგლისი და რუსეთი. თემთა პალატაში ინგლისის პრემიერმა განაცხადა მუშავდება რუსეთთან სავაჭრო დამოკიდებულების განახლების ახალი პროექტი. მას იმედი აქვს, რომ ამ პროექტს მოკლე ხანში ჩააბარებენ მოსკოვის მთავრობის წარმომადგენელსო.

ყირიმიდან ლტოლვილნი.

კონსტანტინოპოლში ყირიმიდან 50,000 ლტოლვილი მოვიდა მაგრამ ვინაიდან მათთვის არ აღმოჩნდა დამზადებული თავისუფალი ბინა ვერ ათავსებენ სულ 100,000 ლტოლვილს მოელიან. მეტესი ნაწილი ალჟირში გაიგზავნება.

საბერძნეთი და ანტანტი.

18, პარიზსა და ლონდონს შორის დაიწყო მოლაპარაკება იმ მდგომარეობის შესახებ, რომელიც შეიქნა ვენიზელოსის მომხრეების დამარცხების შემდეგ ხუთშაბათს ინგლისის ელჩმა ლორდ ღერბიმ ინახულა ჟორჟ ლეიგი მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე როგორც სჩანს ორივე სახელმწიფოს სურს ერთად იმოქმედოს (გამოტოვებულია) პარიზსა და ლონდონში გადაწყვეტილია წინააღმდეგობა გაუწიონ საბერძნეთის ტახტზე კონსტანტინეს ასვლას, პრინც გიორგის დანიშვნასაც წინააღმდეგობა შეხვდება. ყოველ შემთხვევაში მას მოსთხოვენ საბერძნეთის პოლიტიკურ ორიენტაციის გარანტიას.

„ექსცელზიორი"-ს მოყავს დენის კოშენისა და ჟონარის განცხადება: ორივე ისინი იყვნენ ომის დროს საბერძნეთში როგორც ოფიციალური პირნი მე ვფიქრობ. სთქვა კოშენმა, რომ მფარველ სახელმწიფოებს აქვსო უფლება და მათი მოვალეობაც არის არ დაუშვან, რომ საბერძნეთი უფრო ძლიერ, ოდესმე იყო. შეიქნეს გერმანიის ვასალად. რაც შეეხება ჟონარს, მისი აზრი ექვს მეფის დაბრუნება არამც თუ არ სურს მოკავშირეებს, არამედ ეს ვერც კი წარმოუდგენიათ.

სომხეთში.

სომხეთის ყოფილ პრემიერს კ. ჩაზნუნს რომელიც სომხეთის პარლამენტის თავმჯდომარეთ აირჩიეს, წინადადება მიეცა პერსონალურ საფუძველზე საქმიანი კაბინეტი შეადგინოს.

ტრაპიზონის ცნობა.

ქემალ ფაშის გავლენიანი წრეები აცხადებენ, რომ საქართველოს წინააღმდეგ ქემალ ფაშას ჯერჯერობით არავითარი აგრესიული ზრახვები არა აქვს, ქემალ ფაშის პასუხის მგებელი წარმომადგენელები ირწმუნებიან, რომ ქემალის სახელით არც ერთი ემისარი არ წასულა ახალციხის, ბათომის და არტაანის ოლქებში საქადაგებლად, და თუ მაინც ვინმე აქ მომუშავე თავის თავს ქემალისტს უწოდებს, ის ადგილობრივი ავანტიურისტი და ბედის მაძიებელია.

— ვრანგელის ესკადრილია ყირიმიდან გაიქცა და ანატოლიის ნაპირებს აფარებს თავს. (ბ. ფ.)

ტეხნიკურ დაბრკოლებათა გამო „სასოფლო გაზეთის" დღევანდელ ნომერში ვერ წავიდა ყველა ის მასალა რაც განზრახული იყო ამ ნომრისთვის.

ახალი ამბები:

— შეშის მიწოდება მუშებისათვის. მთავრობამ მოისმინა რა შრომის მინისტრის მოხსენება მოსამსახურეებისათვის შეშის მიწოდების შესახებ, დაადგინა: მიიღოს შრომის მინისტრის მოხსენება და მიაწოდოს მუშებს და მოსამსახურეებს შეშა შემდეგ ფასებში: კუბიკური საჟენი კარგი ხარისხისა 10.000 მან., დაბალ ხარისხისა 8.000 მან.

— ჯანმრთელობის დეპარტამენტი იუწყება: თბილისის ლაბორატორიებში გადამდებ სენთა წინააღმდეგ საბრძოლველად შრატი და ვაქცინები მზადდებაო. ამ პროდუქტების ღირსების გამოსაკვლევად დეპარტამენტის დირექტორის თავმჯდომარეობით საკონტროლო კომისია შესდგა. კომისიის შემადგენლობაში შედიან: ჯანმრთელობის დეპარტამენტის ვიცე დირექტორი, სანიტარულ ინსტიტუტის დირექტორი, ლაბორატორიების და ქალაქთა კავშირის წარმომადგენელები და სხვა.

— კულტურულ განმანათლებელ სექციის გაფართოვება სამხედრო სამინისტროში. სამხედრო მინისტრის მოხსენების შემდეგ სამინისტროს კულტურულ განმანათლებელ სექციის გაფართოვების შესახებ, მთავრობამ დაადგინა: მიანდოს სახალხო განათლების მინისტრს სამხედრო მინისტრთან ერთად გაეცნოს კულტურულ განმანათლებელ სექციის საქმიან მუშაობას და წარმოადგინოს მოხსენება სექციის წარსულ მოქმედების შესახებ და აგრეთვე პროექტი მომავალ მუშაობისა განზრახულ ხარჯთ აღრიცხვის თანდართვით.

— ყოფილ თავადის მინგრელსკის ქონების ჩამორთმევა. იუსტიციის მინისტრის მოხსენების შემდეგ ყოფილ თავადის ნიკოლოზ მინგრელსკის ქონების ჩამორთმევის შესახებ, მთავრობამ მიიღო პროექტი დეკრეტისა, რომელიც განსახილველად დამფუძნებელ კრებას გადაეცემა. მთავრობის დადგენილება სხდომის ჟურნალის დამტკიცებიდან შევა ძალაში.

— იუსტიციის მინისტრის მოხსენების შემდეგ ქუთაისის საოლქო სასამართლოს პროკურორის ამხანაგის ს. ჯორბენაძის მიერ შემოტანილ სამსახურიდან განთავისუფლების თხოვნის შესახებ, მთავრობამ დაადგინა: ვინაიდან ს. ჯორბენაძე საპყრობილეთა ინსპექტორად დაინიშნა მისი თხოვნა საოლქო სასამართლოს პროკურორის ამხანაგის მოვალეობის ასრულების განთავისუფლების შესახებ, იქნეს შეწყალებული.

— მომარაგების სამინისტროში. მომარაგების სამინისტრო კახეთში სხვა ხორბლეულობასთან ერთად იძენს სიმინდს. სიმინდის მოსავალი კახეთში განსაკუთრებით ალაზნის გაღმა მხარეზე წელს ძალიან კარგია. ფასები 650 მან. 700 მ.-მდის. სამინისტროს შეძენილი აქვს ჯერ ჯერობით 70 ვაგონამდის და შესყიდვა სწარმოებს. შესყიდულია აგრეთვე ხორბალი და ქერი, მაგრამ გამუდმებული წვიმების გამო, რადგან გზებიც გაფუჭებული იყო სურსათის მოზიდვა სადგურზე შეუძლებელი ხდებოდა. ეხლა გზები შეშრა და სურსათის გადმოგზავნა უკვე დაიწყო. გადმოზიდვაში სამინისტროს ხელს უწყობს სიღნაღის ერობა. ამ ცუდი ამინდებით იყო ალბათ გამოწვეული ამ უკანასკნელ ხანებში თბილისის ბაზარზე პურზე ფასების ზრდა: კარგმა დარებმა აქაც იმოქმედა. ფასებმა საგრძნობლად დაიწია, მაგ. სიმინდის ფქვილი 2800—3200 მ. 1600 მან. დაეცა, პური 4000 მან.—2.500 მანეთამდე. როგორც გურია სამეგრელოდან მოსული ცნობებიდან სჩანს,—იქაურ სიმინდის ფასებიც 2000 მანეთიდან 800 მანეთამდის ჩამოვიდა და არის ტენდენცია კიდევ დაკლებისა.

— შინაგან საქმეთა სამინისტროში. შინაგან საქმეთა მინისტრი ნ. რამიშვილი ბათომიდან თბილისში დაბრუნებისას გაცივდა და ავად გახდა. მინისტრის მოვალეობას შინაგან საქმეთა მინისტრის ამხანაგი ჰიჰინაძე ასრულებს.

— ერობის ცხოვრება. ერობათა კავშირის კომიტეტმა, განიხილა რა კანონ პროექტი საქართველოს ერობათა თვითმმართველობის შესახებ, დაადგინა: დაეგზავნოს კანონ პროექტი სამაზრო ერობებს წინადადებით განიხილონ ეს პროექტი საჩქაროთ და წარუდგინონ მთავარ კომიტეტს თავიანთი მოსაზრებანი და კორექტივები. სამაზრო ერობის დასკვნების მიღების შემდეგ მთავარი კომიტეტი აღნიშნულ კანონ-პროექტს დაუყონებლივ დამფუძნებელ კრებაში შეიტანს განსახილველად. ერობათა კავშირის კომიტეტმა დაადგინა შეიტანოს ეს კანონ პროექტი დამფუძნებელ კრებაში არა უგვიანეს მიმდინარე თვისა.

— რესპუბლიკის მცხოვრებთა აღწერა. თანახმად ცენტრალურ სტატისტიკურ კომიტეტის მიერ 1917 წ. დამუშავებულ უკანასკნელ აღწერისა რესპუბლიკის მაზრებში მცხოვრებთა შემდეგი რაოდენობა იყო: ახალქალაქის მაზრაში ირიცხებოდა 93,441 კაცი, ახალციხის მაზრაში—66,813 კაცი, ბორჩალოს მაზრაში—111,582 კაცი, გორის მაზრაში 189,383 დუშეთის მაზრაში—66,612 კაცი, სიღნაღის მაზრაში—113,121 თელავის მაზრაში—62,834, ტფილისის მაზრაში—90,253, ქალაქ ტფილისში—246,910, ზუგდიდის მაზრაში—127,548, ქუთაისის მაზრაში—217,044, ლეჩხუმის მაზრაში—57,114, ოზურგეთის მაზრაში—104,249, რაჭის მაზრაში—82,732, სენაკის მაზრაში—120,287, შორაპნის მაზრაში—173,150 კაცი, გუდაუთის მაზრაში—26.072 გუმისტის მაზრაში—38,149 კაცი კოდორის მაზრაში—26,830 სამურზაყანოს მაზრაში—41,952 კაცი.

— მომარაგების საქმე. ეკონომიური საზოგადოება გვთხოვს გამოვაცხადოთ რომ 1) საზოგადოებამ შეიძინა დიდძალი შარვლები დამზადებული, მაზარები და საზამთრო საბნები. შარვლები იყიდება მხოლოდ წევრებზე დანარჩენი კი კერძო პირებზედაც. 2) საზოგადოებამ გახსნა განყოფილება ქ. ოზურგეთში სადაც გაგზავნა დიდძალი საქონელი. 3) საზოგადოებამ დაამთავრა წევრებზე კარტოფილის, კომბოსტოს და ჭარხალის დარიგება: სულ დარიგდა 5 ვაგონი კარტოფილი 3 ვაგონი კომბოსტო და ორი ვაგონი ჭარხალი: საზოგადოება განაგრძობს წევრებზე ხახვის დარიგებას. 4) საზოგადოება მოელის დიდძალ მანუფაქტურას, რომელიც დარიგდება მხოლოდ წევრებზე. 5) მოკლე დროში დაიწყებს მუშაობას საზოგადოების სანთლის ქარხანა, სადაც დამზადდება (კართოფილის) სტეარინის სანთელი.

— სავაჭრო სამრეწველო პალატა. სავაჭრო სამრეწველო პალატის განსაკუთრებულ სხდომაზე ბათომის განყოფილებისათვის სახელმძღვანელო წესი შეიმუშავეს. თანახმად ამ წესისა პალატის ბათომის განყოფილებამ უნდა დააკმაყოფილოს, როგორც საერთო ისე კერძო პირთა და იმ წარმოებების ინტერესები, რომლებიც ბათომში და ბათომის ოლქში სავაჭრო სამრეწველო საქმიანობას ეწევიან. პალატის ბათომის განყოფილებამ საერთოდ უნდა იხელმძღვანელოს სავაჭრო სამრეწველო პალატის წესდებით. განყოფილებას ეძლევა უფლება კომისიების დაარსებისა. მაგალითად მას ეძლევა უფლება საარბიტრაჟო, იურიდიულ, ტეხნიკურ და სხვა კომისიების დაარსებისა. პალატის განყოფილების ორგანო არის საბჭო.

თავდაცვის გარშემო.

დამფუძნებელ კრებაში. დამფუძნებელ კრების პრეზიდიუმის და გვარდიის მთავარ შტაბის ინიციატივით 17 ნოემბერს შესდგა თათბირი, რომელსაც დაესწრნენ საზოგადოებრივ ორგანიზაციების პოლიტიკურ პარტიების და ფრაქციების და პროფესიონალურ კავშირთა ცენტრალურ ბიუროს წარმომადგენლები. თათბირზე გაირჩა საკითხი ფრონტის დამხმარე მთავარ კომიტეტის არჩევისა. კომიტეტის თავმჯდომარეთ არჩეულია ა. ჩხენკელი. კომიტეტის შემადგენლობაში შევიდნენ ქალაქთა და ერობათა კავშირების, თბილისის ქალაქის თვითმართველობის, სავაჭრო სამრეწველო პალატის და პროფესიონალურ კავშირთა აღმასრულებელ კომიტეტის წარმომადგენლები.

პროფესიონალური ცხოვრება. თბილისის პროფესიონალურ კავშირთა აღმასრულებელმა კომიტეტმა დაადგინა დამფუძნებელი კრებისა და სახალხო გვარდიის მთ. შტ. მიერ განზრახულ თავდაცვის კომიტეტში თავის წარმომადგენლად გაგზავნოს გრ. ადუშელი.

ხუთშაბათს, 18 ნოემბერს, საღამოს 7-ს საათზე ქალაქის თვითმართველის შენობაში, შესდგა ფრონტის დამხმარე მთავარ—კომიტეტის კრება, რომელსაც დაესწრნენ სხვა-და-სხვა საზოგადო ორგანიზაციების წარმომადგენლები, რიცხვით 80. თავმჯდომარეობდა ბ-ნი ს. ჟორჟოლიანი, რომელმაც განუმარტა კრებას გეგმა მომავალი მუშაობისა და აღნიშნა, რომ ჯარი იმ ჟამად ფრონტზე იმყოფება და საჭიროება ჩვენგნით დახმარებისო. ხანგრძლივი სჯა—ბაასის შემდეგ კრებამ დაადგინა: მოხდეს დამატებითი არჩევნები. რის შემდეგ მთავარ—კომიტეტში არჩეულ იქმნენ: ნ. თავდგირიძე, ი. იმედაშვილი, დიმ. დუმბაძე, ქ-ნი სიმონოვისა, ქ-ნი ჰიჰინაძისა, ბ. სეილანოვი, ბ. ანდრონიკაშვილი, ს. ტარუაშვილი, არ. რუხაძე, ა. ურუშაძე, ტ. ტაბიძე, ბ. ცერცვაძე, ქ-ნი ლორთქიფანიძისა, ლ. შურღაია, ბ. თულაშვილი, ბ. ჯაშიაშვილი და ჩიქოვანი!

შემდეგ არჩეულ იქმნა სხვა და სხვა სექციები, რიცხვით რვა. სასახლეში შეგროვილ ნივთების საწყობის გამგეებად არჩეულ იქმნენ ქ-ნი ძიძიშვილისა და მაისურაძე. საღამოების, კონცერტების და წარმოდგენების გამმართველ კომისიაში დიმ. დუმბაძე, ტ. ტაბიძე, ი. იმედაშვილი, ქ-ნი რამიშვილისა და ს. ტარუაშვილი. კრებას დაესწრო სახალხო გვარდიის მთავარი შტაბის უფროსი ვ. ჯუღელი, რომელსაც კომიტეტის თავმჯდომარემ ს. ჟორჟოლიანმა მხურვალე სიტყვებით მიმართა და უსურვა მას სრული გამარჯვება მტერზე კრება დაიხურა საღამოს 11 საათზე.

შრომის სამინისტროში.

ქალაქ თბილისის მუშა-მოსამსახურეთა პროფესიონალური კავშირების სეკრეტარიატს. შენიშნულია, რომ ფაბრიკა-ქარხნების და სხვა კერძო დაწესებულებების შინაგანი (ადგილობრივი) კომიტეტები დაუდევრად ეკიდებიან სიების და სხვა საბუთების შედგენის საქმეს და ჯეროვან ყურადღებით არ ეპყრობიან. შეაქვთ სიებში ისეთი მოსამსახურეები, რომელთაც თავის ჯამაგირის დი თანამდებობის მიხედვით არა აქვთ უფლება ისარგებლონ მომარაგების ფონდის იაფფასიანი სურსათ-სანოვაგით; სიების შედგენის დროს ადგილობრივ არ ირკვევენ მუშა-მოსამსახურის ოჯახის წევრთა შემადგენლობას და ეყრდნობიან მუშა-მოსამსახურის პირად განცხადებას, რომელიც, რასაკვირველია, დაინტერესებულია მეტი რაციონის მიღებაში და შეცდომაში შეყავს კომიტეტი; აძლევენ მოწმობებს, იმის შესახებ, რომ ესა თუ ის ნათესავი მუშისა და მოსამსახურისა მის ხარჯზედ ცხოვრობს, მაშინ, როდესაც შემდეგი კვლევა-ძიება ამტკიცებს, რომ ნაჩვენები ნათესავი ცხოვრობს ან სხვის ხარჯზედ, ან და თვით მსახურობს და თავს საკუთარი შრომით ირჩენს. არის ისეთი შემთხვევებიც, რომელიც სრულიად უარყოფს მუშა მოსამსახურეთა საქმიანობის უნარს. ასეთ არა სასურველ და დასაგმობ შემთხვევად ჩვენ შეგვიძლიან დავასახელოთ ყორღანოვის და აბბ. ელექტრონის სადგურის მუშები, რომელნიც პურს და სხვა სურსათ სანოვაგეს თვით გამყიდველ ყორღანოვს უნაწილებენ; შეტანილათ ყორღანოვი სიაში და ჯამაგირის რაოდენობაც-კი განუსაზღვრიათ, თვეში 1000 მ.ნ. და სხვა და სხვა. ადგილობრივი კომიტეტების ასეთი დაუდევრობა საქმისადმი დიდ გაუგებრობას იწვევს საქმეში; ერთი და იგივე პირი ორ ალაგას იღებს სურსათ-სანოვაგეს სხვა და სხვა დაწესებულების საშუალებით; ულუფით უკანონოთ სარგებლობენ დამქირავებლები და მრავალი სხვა, რომელთაც არა აქვთ უფლება მიიღონ სურსათ-სანოვაგე. გარდა იმისა, რომ ეს დაუდევრობა კომიტეტებისა ზარალს აყენებს სახელმწიფოს, ზარალობენ თვით მუშებიც. მუშათა მაგიდა მიაპყრობს რა თქვენს ყურადღებას ადგილობრივი კომიტეტების უმოქმედობა-დაუდევრობას და მათ შედეგებს გთხოვთ გააფრთხილოთ ისინი,

რომ ამიერიდან მაინც ფრთხილად ეკიდებოდნენ საქმეს და სიების შედგენის და მოწმობების გაცემის წინასწარ შეამოწმონ (ადგილობრივ) მუშა მოსამსახურის წევრთა რაოდენობა და არავითარ შემთხვევაში არ შეიტანონ სიაში დამქირავებელნი და ისეთი პირნი, რომელთაც თანამდებობის მიხედვით არ აქვთ უფლება ისარგებლონ მომარაგების ფონდით. (ს. დ. ს.).

მთავრობის ეკონომიური საქმიანობა და სიძვირის მიზეზები.

4.

წინა წერილებში ჩვენ უკვე განვიხილეთ ის მიზეზები, რომლებმაც გაანადგურეს ჩვენი მეურნეობა, ასწონ-დასწონეს ჩვენი ეკონომიური ცხოვრება, გამოიწვიეს საშინელი სიძვირე და უფსკრულის კარამდე მიიყვანეს ჩვენი რესპუბლიკა- ჩვენ იქ შევეხეთ განსაკუთრებით წარმოების ცუდმხარეებს, ახლა შევეხებით, იმ ნაკლთ, რომელთაც ადგილი აქვთ თვით ნაწარმოების გადატან-გადმოტანაში და მის მოხმარებაში. ჩვენი რესპუბლიკა სოციალისტების წყალობით შიმშილობის და უკანონობის ქვეყანაა. მათ საკუთრება დიდ დაუშვებელ ბოროტებად მიაჩნიათ და ცდილობენ ამ „ბოროტების“ აღმოფხვრას, დღეს სრულიად მასი მოსპობა ვერ გაბედეს, მაგრამ დაიწყეს კი, შეარყიეს საკუთრება მიწაზე და უძრავ ქონებაზე, მიწის პატრონმა არ იცის როდის დაეცემიან თავს და ჩამოართმევენ მის მიერ დამუშავებულ მიწას, სახლის პატრონიც ამავე მდგომარეობას განიცდის, საკმარისია რომელიმე თუგინდ სათემო ერობის გამგეობას მოეწონოს მისი სახლი, რომ ის მყისვე ჩამოართვას ერთი სიტყვით შეიბღალა კერძო საკუთრება უძრავ ქონებაზედ დაკანონდა თვით მთავრობის მიერ ყაჩაღობა, მ საკუთრე მუდამ შიშშია, და ცდილობს როგორმე დაიფაროს თავისი საკუთრება ზედმეტ შეძენაზე ხომ სრულად აღარ ზრუნავს. ასევე ყაჩაღურის წესით უმასპინძლდება ჩვენი სოც.-დემოკრატიული მთავრობა, ერობა, გვარდიის შტაბი, და მილიციაც კი. თვით შრომის ნაყოფს რაიმე ნაყოფიერებას და სურსათს, ვაი იმ გლეხს, რომელსაც რიგიანად აქვს დაყენებული მეურნეობა და სამყოფზე მეტი მოჰყავს, მას თავს დაესხმიან მთავრობის ან ერობის წარმომადგენელნი და იძულებით ჩამოართმევენ ზედმეტ ხორბალს, სიმინდს ან სხ. რაიმე სურსათს, ფასს კი მისცემენ, მაგრამ ისეთ მცირეს, რომ, გლეხის საწარმოვო ხარჯებსაც არ აკმაყოფილებს. ასეთი წესი დღეს გამეფებული მთელ ჩვენს რესპუბლიკაში. ვისაც მოეპრიანება ის ჩამოართმევს, გლეხს მის ნაშრომს. გლეხს არ შეუძლიან არც ერთი ფუთი ხორბალი. გაიტანოს თავის სოფლიდან მახლობელ თემში ან ქალაქში, გასასყიდლად ან თავის პირად მოსახმარად, მას უთუოდ თემის საზღვარზევე ჩამოართმევენ, ერობის წარმოადგენლები რა არის ეს თუ არა შრომის უპატივცემლობა, სხვისი შრომის მითვისება? „შენ ზედმეტი შეგიქმნია, მე არა მაქვს და უნდა ჩამოგართვა,“ აი ჩვენი სადემოკ. პოლიტიკა, ამას ჰქვიან კანონიერი ყაჩაღობა გლეხს თავის საჭიროებისათვის, თავისი სურვილისამებრ ვერ მოუხმარია თავისი შრომის ნაყოფი. ეს ჰკლავს მასში მეყაითობასა და შრომის უნარს ის თანდათან უკლებს შრომას, იგი ავიწროებს თავის მეურნეობის ფარგლებს, ისე რომ მხოლოდ თავისი სამყოფი მოიწიოს, ასეთი თავაშვებულ მთავრობისა და ერობის „ყაჩაღობას“ ბოლო უნდა მოეღოს, ბოლო უნდა მოეღოს აკრძალვას. თვით რესპუბლიკაში საქონლის გადატან-გადმოტანის აკრძალვას. დღეს რასა ჰგავს ჩვენი ცხოვრება: ერთ მაზრაში ბევრი პური, მეორეში კი შიმშილი მეფობს, პური თავისუფლად ვერ გადაუტანიათ ერთიდან მეორე მეორე მაზრაში, სოფლიდან ქალაქში, ამიტომ არის რომ თუ რომელიმე პროვინციაში თუ გინდ თელავში ან გორში პური ხუთ-ექვს თუმნად ფასობს, თბილისში იმაზე უფრო გაცილებით ცუდი პური თორმეტ თუმნიდა ფასობს. ეს იმის ბრალია, რომ ყოველი მაზრა და ასე გასინჯეთ თუმცა კი თვისი საქონლის გამყიდველი ბაზრებით ცალკე სახელმწიფოს წარმოადგენს მათ შორის გარდაუვალი კედლებია აღმართული. როდემდის უნდა გაგრძელდეს ასეთი მდგომარეობა? ყველაფერს დასასრული აქვს და ამასაც უნდა ბოლო ექმნას. ჩვენი რესპუბლიკა ვეღარ აიტანს სოციალისტების მიერ „დაკანონებულ ყაჩაღობას“.

საქართველოს მთავრობამ ამას ანგარიში უნდა გაუწიოს მან. წინა წერილებში ჩამოთვლილ შეცდომებთან ერთად უნდა ეს უკანასკნელი შეცდომაც გამოასწოროს, მან უნდა ხელი აიღოს გლეხების მიერ შექმნილ ზედმეტი სურსათის ჩამორთმევაზე, მანვე, უნდა აღაგმოს საზაზრო და სათემო ერობები, უნდა ჩააყენოს ისინი თავიანთ ფარგლებში, მოსპოს ყოველი თემის კარ-ჩაკეტილობა, თავისუფალი გახადოს რესპუბლიკის საზღვრებში სურსათისა და ნაწარმოების გადატან გადმოტანა: იგი ამით დასცემს იმ საშინელ სიძვირეს რომელმაც ლამის არის გასჭყლიტოს მოქალაქენი.

საქართველოს დღეს ეკონომიური მდგომარეობა აუტანელი არის, იგი დღითი დღე უფრო და უფრო აუტანელი ხდება, საჭიროა მისი გამოსწორება, ამისათვის შინ აუცილებელია ჩვენი სოციალისტური მთავრობის საქმიანობის შეცვლა, ან თვით ამ სოციალისტურ მთავრობის შეცვლა.

დრო აღარ იცდის ისტორია არ გვაპატიებს ამ მომაკვდინებელ დანაშაულს.

ელ. პატარიძე.

მუცლის სახადიანი ტიფი.

(დასაწყისი № 22.)

ამ სახადის ასალები საშუალება. პირველი ის არის, რომ ხაზგასმით დავეჩვიოთ სახლში სისუფთავის დაცვას. როცა ოჯახი სუფთადა სცხოვრობს, სახადი და სხვა გადამდები ავადმყოფობა ძნელად იკიდებს ფეხს; მეორე ის, რომ სუფთა წყალი ვსვათ; ამის შესახებ გვქონდა არა ერთხელ საუბარი წინა წერილებში; გამოკვლეულია, რომ უმთავრესი გამავრცელებელი სახადისა წყალი არის: წყალში მის ბაცილებს შეუძლიან დიდი ხანი იცოცხლონ და გამრავლდნენ კიდეც; როცა ჩვენ ურჩევთ სუფთა წყლის სმას, მაგალითად წყაროს წყლისა ან ნადუღისა და ვაფრთხილებთ, ამას გასამართლებელი საბუთი ხელთა გვაქვს. ავიღოთ რუის წყალი, ბევრნი ხმარობენ მას სასმელად და უვნებელნიც რჩებიან, მაგრამ ყველანი არა, რუის წყალი შეიძლება მოწამლულიც იყოს სახადით, ამის გაგება ძნელია სოფელში; ჩვენ ვიცით, რომ სოფელში ყველას არა აქვს ფეხისადგილები, განავალს ღვრიან აქა-იქ; წვიმას შეუძლიან ჩამორეცხოს მიწის მეჭყი და ჩაიტანოს რუში. რომელიც იხმარება სასმელად; აი ამ გზით, რადგან სახადის ბაცილები განავალში იმყოფებიან, შეიძლება ისინიც მოჰყვნენ რუში და წაბილწონ იგი; ამიტომ როცა ჩვენ ვაფრთხილებთ ხალხს და ვეუბნებით: რუის წყალს ნუ სვამთქო, იმ მოსაზრებით, რომ რუის წყალი შეიძლება მოწამლული იყოს სახადის ბაცილებით, მიუხედივად იმისა, რომ შეხედვით იგი სუფთაც იყოს. როგორც რუის წყალი, ისე მდინარისა და ჭის წყალიც მავნებელია.

მაშასადამე უვნებელია მხოლოდ დარული წყალი სათავეში. დანარჩენი წყალი უნდა იხმარებოდეს ნადუღი.

როცა სახლში გაჩნდება სახადით ავათმყოფი, მას მოვლა სჭირდება ისეთი, რომ სხვებს აღარ შეეყაროს.

თუ შეიძლება ავადმყოფი განცალკევებული უნდა იყოს, მომვლელიც ერთი ვინმე უნდა იყოს, ჭურჭელი, ლოგინი, საცვლები სულ საკუთარი უნდა ჰქონდეს ავადმყოფს, სხვები არამც და არამც არ უნდა ხმარობდნენ ავათმყოფის საგნებს.

განავალი აქა-იქ არ უნდა დაიღვაროს, მხოლოდ ფეხისადგილში, ან ახლად გათხრილ ორმოში.

მომვლელმა კიდევ დღეში რამდენჯერმე ხელები უნდა დაიბანოს ხოლმე, მეტადრე მის შემდეგ როცა მიეკარება ავადმყოფს; სულ მუდამ უნდა ახსოვდეს, რომ მხოლოდ თავის უსუფთაობის საშუალებით, თვითონაც შეუძლია ავად გახდეს; პირიც ხშირად უნდა გამოივლოს ან ნადუღი წყლით, ან წამლით, თუ მომვლელი ამას ყველაფერს ასრულებს, სახადი ვერ შეეყრება, თუ არა და ისიც ავად გახდება.

სოფელში ამის შესახებ ბრუდე აზრი ტრიალებს: როცა გაიგებენ, რომ სადმე სახადიანი ავადმყოფია, იმ სახლს აღარ მიეკარებიან; ეს მოსაწონია, მაგრამ ბოლომდინ კი არა. ეგეთი ჩვეულება უნუგეშო მდგომარეობაში აგდებს ავადმყოფებს თუ სახლში ყველა მოზრდილი წევრი ავად არის, წყლის მიმწოდებელიც არ მოეპოვება, მომვლელს ვილა ჩივის, და სწორეთ ამ დღეში იყვნენ ის ავათმყოფები, რომლებზედაც ჩვენ გვქონდა ლაპარაკი.

ვიმეორებ თუ მომვლელი დაიცავს სისუფთავეს, დაიბანს ხშირად ხელებს წამლით, იგი საფრთხეს გარეშე იქნება. აგრეთვე მეზობელსაც შეუძლიან ინახულოს ავათმყოფი უშველოს კიდეც მხოლოდ იმავე ზომებს უნდა მიმართოს.

რასაკვირველია ამით არა თავდება საქმე, ბევრი სხვა დარიგებაც არის და ამ დარიგებას მისცემს ექიმი, რომელიც უეჭველად მოწვეულ უნდა იქმნეს ავადმყოფის საშველად.

ექ. ნ. ი—შვილი.

ქვევრში ღვინის დაყენება.

მეღვინეობ ჩვენში, როგორც ბძანებენ მიტი წილი სპეციალისტებისა ახალ საფეხურზე დგასო, და ერთგვარ უარყოფით უყურებენ იმ გვარ ღვინის, წარმოებას რომელსაც ეწევიან საქართველოში ძველებურ დროიდან. რასაკვირველია ამ ეს შეხედულება სწორე იქნება თუ ჩვენ ანგარიშს გაუწევთ ევროპიელთა გემოვნებას, ვინაიდან ჩვენებურ დაყენებული ღვინოები არ აკმაყოფილებთ მათ. მაგრამ რაც შეეხება იმას გამოკვლეულია თუ არა, რა დადებითი და უარყოფით მხარეები აქვს ჩვენებურად ქვევრებში ღვინის წარმოებას. ეს ჯერ კიდევ დიდ საკითხს წარმოადგენს, და ამ ამოცანის ახსნისათვის სპეციალისტების მიერ უნდა იყოს მიქცეულ სათანადო ყურადღება. ვინაიდან ჩვენ არ უნდი დავივიწყოთ რომ ჩვენებურად დაყენებულ ღვინოებს აქვთ შინაურ ბაზარაში არა ნაკლები გასავალი ვიდრე ევროპიულად მომზადებულებს (სახელმწიფო ღვინოები) რომ ჩვენებურად ღვინის წარმოებას ბევრი დადებითი მხარეებიც აქვს (ამას ვერავინ ვერ უარ ჰყოფს) ეს ყოვლისთვის აშკარა უნდა იყოს, ამას ხალხმა ანგარიშიც გაუწია, მაშინ როდესაც უმრავლესობამ საქართველოში, მევენახეობაში უკვე კარგა შეისწავლა ვაზის ახალი კულტურა და მეღვინეობაში ერთგვარ შეუპოვრობას სწევს და უარს აცხადებს ევროპიულად ღვინის წარმოებაზე. ჩვენებურ ღვინის წარმოების უმთავრეს თვისებებს, წარმოადგენს დუღილი და ღვინის შენახვა არა ჩანებში და კოდებში (ბოჭკებში) არამედ მიწაში ჩაფლულ თიხის ჭურჭელში. რომელსაც ეძახიან ქვევრს, ამგვარ ჭურჭლის ჯგუფი კი—მარანი, რომელიც ერთდა იმავე დროს ასრულებს ორ თანამდებობას როგორც ღვინის დასამზადებლისას (ვინოდელნია) აგრეთვე სარდაფისასაც, რადგანაც დუღილის შემდეგ. მაგ გვარ ჭურჭელშივე ინახავენ ღვინოს დასამწიფებლად. მარანს აწყობენ როგორც პირდაპირ გაშლილ ადგილზე, (უფრო ხშირად დასავლეთ საქართველოში) აგრეთვე ხეების ქვეშ, ზოგი ზევიდან უკეთებს საფარს, ამ ბოლო დროს კი უმრავლესობამ დაიწყო ქვიტკირის შენობის აგება. იმის შემდეგ როდესაც ჩვენ კარგა შევისწავლით მარანს—მაშინ ჩვენთვის ძალა უნებურათ აშკარა იქნება—მისი ღირსეული თვისებები რის გამოც ჩვენი ხალხი აგრე მჭიდროთ არის შეკავშირებული. მასთან უპირველესად მარანის აგება ჯდება გაცილებით იაფად ვიდრე ევროპიულად მოწყობილი სარდაფი და ვინოდელნია, შემდეგ არ არის აუცილებლად საჭირო ქვიტკირის შენობის აშენება და მაინც მივიღებთ რიგიან ღვინოს, ეს იმ გვარ უბრალო მიზეზის გამო რომ ტემპერატურა—მარნის გარემოსი არ განიცდის რყევას მთელ დუღილის მსვლელობაში ჩვენში გვაქვს თითქმის მუდამ ერთი ტემპერატურა, მაშინ როდესაც კარგ ევროპიულად მოწყობილ სარდაფშიც იშვიათია რომ ტემპერატურა არ განიცდიდეს რყევას. მეორე უმთავრესი ღირსეულობა ქვევრის არის ის რომ როგორც თითონ ჭურჭელში აგრეთვე ღვინოს, რომელიც მასში ასხია, გაცილებით ნაკლები მუშაობა სჭირდება, ვიდრე კოდაში. ერთად ერთ ერთი ქვევრებში მუშაობა გამოიხატება გადაღებაში ღვინო ქვევრში თითქმის არ იშრობს არ იკლებს მაშასადამე შემსებაც არ სჭირდება. ქვევრებში ერთგვარად ადვილია როგორც ახდილი აგრეთვე დახურულია დუღილის წაყვანა შემდეგ ადვილია აგრეთვე ქვევრი ისე მოეწყოს რომ დუღილი სწარმოებდეს ჩაყურყუმებულ ქუდით, ეს ხდება უბრალო წნელის საშუალებით რომელსაც ამაგრებენ ქვევრში გარდიგარდმო, ამ გვარ წნელს უჭირავს ერთ ალაგს ეს ჩაყურყუმება ქუდი, მდუღარე ტკბილი კი ამოდის ზევით.

გ. მჭალობლიშვილი.

(გაგრძელება შემდეგ ნომერში).

სამხედრო ცხენები საქართველოს რესპუბლიკაში.

ცხენი ნამდვილი კეთილშობილი და ლამაზი ცხოველია. კაცისათვის საჭირო „აუცილებელ“ ცხოველად შეიქმნა იმიტომ რომ სხვა ცხოველს არ შეუძლიან მისი მაგივრობა გაუწიოს ადამიანს. ცხენის მალიადობა, ღონე, მამაცობა, სიყვარული და ერთგულობა, აგრეთვე გულისხმიერობა ცნობილია ყველასათვის. იგი დიდ როლს თამაშობდა ყველა ერის ისტორიაში, არც ჩვენი ერი შეადგენს ამ მხრივ გამონაკლისს.

თუ ცოტაოდნით ჩავიხედავთ ჩვენს ისტორიაში, დავინახავთ, რომ ჩვენშიაც დიდ ყურადღებას აქცევდნენ ცხენის მოვლა მოშენებას. ფარსმან მეფისა და იმის ამალის მოხდენილმა ჯირითმა მთელი რომი გააოცა თავის დროზე. ცხენებზე არა ერთგან ლაპარაკობს უკვდავი შოთა. ცხენის მოშენებაში უაღრესი ყურადღება ჰქონდა მიქცეული ცხენის სილამაზეს და იორღებას. საქართველოს რუსეთთან შეერთების დროს, ჩვენის ერის თავისუფლების დაკარგვასთან ერთად, საქართველოდან გაგზავნილ იქმნა საუკეთესო ჯიშის ცხენები.

ერის თავისუფლების დაკარგვას მოჰყვა სულიერი გაკოტრება, გადაგვარება ეროვნულ კულტურისა და ამასთან ცხენის მოვლა-გამრავლების დაცემაც, დღეს თუ შეიძლება ითქვას, საქართველოს არ მოეპოვება საკუთარი ჯიში ცხენისა გარდა იმისი, რაც დარჩა რუსეთის დაშლის შემდეგ, მაგრამ ეს დარჩენილი სამხედრო ცხენები ისეთ ანტისანიტარულ გიგიენურ მდგომარეობაშია, რომ მათ განადგურება მოელის თუ დაუყონებლივ არ იქმნა ყურადღება მიქცეული სახელმწიფოსაგან განსაკუთრებით კი სამხედრო უწყებისაგან.

თითქმის ყველა ჯარის ნაწილებში ცხენების თავლა არ იგვება, პატივი თითქმის ნახევარ ალაბის სისქეზეა. ცხენების მისაბმელ ალაგი ისეთსავე მდგომარეობაშია, წყლის სადენი, თუკი იმყოფება ნაწილებში, ძლიერ უსუფთაოთაა. არხები სადაც მილიდან გადმოდენილი წყალი მოედინება, გაბინძურებულია, არხი ამოვსილია პატივით, ეს პატივი დამპალია; ასეთი ალაგები მეტად საშიშია ჯარისკაცებისათვის და ცხენების ჯანმრთელობისათვისაც, რადგან აჩენს სინოტიეს და სიშმორეს. სინოტიე კი ბუდეა შავი ჭირისა, სიშმორე კი მალარიასი, ცხენები ასეთ სიბინძურის გამო თითქმის ყველა ავადმყოფია კანის ავათმყოფობით. უმეტესად „ლენპესტონსურა“ და სკაბიესით. მასთან ცხენებზე გავრცელებულია „მალლეუს“ ამას ხელს უწყობს ასეთი ანტისანიტარული და ანტი-გიგიენური მდგომარეობა სამხედრო ცხენებისა. ცხენები არ იწმინდებიან, არ სუფთავდებიან. მთელი კანი სავსე აქვთ ჭუჭყით-მტვრით. ჩლიქი არასოდეს არ სუფთავდება და არ იბანება. წყლის სმევა რაციონალურად ვერ ხდება; ცხენებს თავის დროზე და რიგზე არ ჰბანებს, ცხენებს ცუდად სჭედავენ ანუ უკეთ ცხენებს არამც თუ არ სჭედავენ, არამედ უფუჭებენ ჩლიქებს. სამხედრო ცხენები რომ არ განადგურდნენ, საჭიროა: დაუყონებლივ გასუფთავდეს ცხენების თავლები საბმელი ალაგები, მთელი ეზო სამხედრო ნაწილებისა, წყალსადენი მილები. არხები, შეკეთდეს ბაგები, თავლის მიწური იატაკები გასწორდეს და ორმოები ამოივსოს სუფთა მიწით. გაიწმინდოს და გასუფთავდეს ბაგები ჰაერის სადენი მილები და ფანჯრები, ყველა ამ მუშაობის შემდეგ უნდა მოხდეს დეზინფექცია გიდროპულტით, მოეწყოს საზარბაზნო და საცხენოსნო ნაწილებში ფერშლების მოსამზადებელი სკოლები. კარგი ჩლიქი მაჩვენებელია ცხენის კარგ სამსახურისა. ამისათვის საჭიროა სამჭედლო სკოლები, აგრეთვე ყველგან საზარბაზნო და საცხენოსნო ნაწილებში უნდა იყოს მოწესრიგებული ცხენების საავადმყოფო ლაზარეთები, წამლებით და ქირურგიულ იარაღებით უზრუნველყოფილი. თუ ზემო მოხსენებული არ იქმნა ცხოვრებაში გატარებული, ჩვენი ლაშქარი დაკარგავს მთელ შემადგენლობას ცხენებისას, დახანება არ შეიძლება. რაც შეიძლება, სწრაფად უნდა ვუშველოთ საქმეს.

ექ. ბეითალი ი. ქუთათელაძე.

რედაქტორი ნ. კიშაური.

მატარებელთა მიმოსვლა.

ფოსტის მატარებელი № 3.
თბილისიდან ბათომში—დილის 10 ს. 53. წ.
მატარებ. № 3. № 7.
თბილისიდან ფოთში საღამ 7 ს. 14 წ.
მატარებ. № 21.
თბილისიდან ბათომში, საღ. გად. 10 ს. 37 წ.
მატარებ. № 19.
თბილისიდან ხაშურში დილის 3 ს. 20 წ.
მატარებ. № 140.
თბილისიდან სალოღში დილის 9 ს.
მატარებ. № 390.
თბილისიდან სანაინში დილის 7 ს. 45 წ.
მატარ. № 4.
თბილისიდან კახეთში დილის 8 ს. 30 წ.

თბილისში მოდის.

მატარებ. № 4.
ბათომიდან თბილისისკენ გამოდის საღ. 10 ს. 27 წ.
თბილისში მოდის საღ. 6 ს. 46 წ.
მატარებელი № 7.
ფოთიდან თბილისისკენ გამოდის ღამის 12 ს. 2 წ.
თბილისში მოდის დღის 2 ს. 13 წ.
მატარებელი № 22.
ბათომიდან თბილისისკენ გადის ღამის 12 ს. 58 წ.
მატარებელი № 19.
ხაშურიდან თბილისისკენ მოდის ღამის 2 ს. 16 წ.
თბილისში მოდის დილის 8 ს. 2 წ.
მატარებ. № 141.
სალოღლიდან თბილისისკენ გადის დილის 9 ს 10 წ.
თბილისში მოდის საღამ. 5 ს. 36 წ.
მატარებ. № 416.
სანაინიდან თბილისისკენ გადის დილის 8ს.
თბილისში მოდის დღის 4 ს. 53 წ.
მატარებ. № 3.
კახეთიდან თბილისში გადის დილის 4 ს. 2[illegible]

ყოფილი 1 კავკასის კორპუსის სამხედრო

ბეითალი-ექიმი

ი. გ. ქუთათელაძე

ილებს შინაგან, კანით (ქეცით) ავადმყოფ ოთხფეხ პირუტყვებს და ფრინველებს, ცხენის ქოთაოს (საპს) იკვლევს მალეინის შეშხაპუნებით. ჭირი ცხენის სასულე—მილის ავადმყოფობა ვ[illegible] „ნე მანის და ვესსელის“ მეთოდით. ვიძლევი დარიგებას „ზოო ტეხნიკაზე“ (საქონლის მოვლა მოშენება). დილის 9—10 საათ. და დღის 2—4 საათ.

14—1. ბელინსკის ქუჩა, № 39, ბინა 2.